ქალის ხმა და სუბიექტურობა ქართულ პროზაში: გენდერული ნარატივის ტრანსფორმაცია XX საუკუნის პირველი ნახევრიდან თანამედროვეობამდე

მაია ლომიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ქალის ხმისა და სუბიექტურობის რეპრეზენტაციას ქართულ პროზაში და აანალიზებს გენდერული ნარატივის ტრანსფორმაციას XX საუკუნის პირველი ნახევრიდან თანამედროვეობამდე. კვლევის მიზანია, გამოავლინოს, როგორ იცვლება ქალი პერსონაჟის ნარატიული ფუნქცია, სოციალური როლი, სუბიექტურობა და თვითგამოხატვის ფორმები სხვადასხვა ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში, ასევე, როგორ აისახება ეს ცვლილებები ქალი და კაცი ავტორების მიერ შექმნილ ტექსტებში. საკვლევი მასალა მოიცავს მიხეილ ჯავახიშვილის, მარიამ გარიყულის, ოთარ ჭილაძის, ნაირა გელაშვილის, ივაფეზუაშვილისა და თამთა მელაშვილის ნაწარმოებებს.

კვლევა ეფუძნება ფემინისტური ლიტერატურათმოცდნეობისა და ფემინისტური ნარატოლოგიის თეორიულ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. თეორიული ჩარჩო მოიცავს სიმონ დე ბოვუარის, სიუზან ლანსერის, ნენსი ჩოდოროვის, რუთ სალვაჯიოს, რ.უ. კონელისა და ჯეიმს მესერშმიდტის, ასევე, ადრიან მარინოს ნაშრომებსა და კონცეფციებს. აღნიშნული მიდგომების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ქალის რეპრეზენტაციის, ნარატიული ხმის, სუბიექტურობისა და გენდერული ძალაუფლების ფორმების ისტორიული ტრანსფორმაციის გამოვლენა.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალი პერსონაჟის რეპრეზენტაცია ქართულ პროზაში მნიშვნელოვნად იცვლება ისტორიული და კულტურული კონტექსტების შესაბამისად. თუ XX საუკუნის პირველი ნახევრის ტექსტებში ქალი უმეტესად სოციალური და პატრიარქალური ნორმების ფარგლებშია წარმოდგენილი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა გარდამავალი პერიოდის პროზაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალის თვითიდენტობის, ხმისა და შინაგანი გამოცდილების მატარებელი და სოციალური რეალობის კრიტიკული გააზრების აქტიური სუბიექტი. ამასთან, კვლევამ გამოავლინა,მ რომ ავტორის სქესი ყოველთვის არ განსაზღვრავს ქალი პერსონაჟის სუბიექტურობის

ხარისხს; გადამწყვეტ როლს ხშირად ისტორიული კონტექსტი, ნარატიული სტრატეგია და ტექსტის იდეოლოგიური პოზიცია ასრულებს.

საკვანძო სიტყვები: ქალი პერსონაჟი, სუბიექტურობა, გენდერული ნარატივი, ფემინისტური ნარატოლოგია, ქართული პროზა, ქალის ხმა, გენდერული რეპრეზენტაცია.

Abstract

This thesis examines the representation of women's voice and subjectivity in Georgian prose and analyzes the transformation of gender narratives from the first half of the twentieth century to the present day. The aim of the study is to identify how the narrative function, social role, subjectivity, and forms of self-expression of female characters change across different historical and cultural contexts, as well as how these changes are reflected in texts written by female and male authors. The research corpus includes works by Mikheil Javakhishvili, Mariam Garikuli, Otar Chiladze, Naira Gelashvili, Iva Pezuashvili, and Tamta Melashvili.

The study is based on the theoretical and methodological approaches of feminist literary criticism and feminist narratology. The theoretical framework includes the works and concepts of Simone de Beauvoir, Susan Lanser, Nancy Chodorow, Ruth Salvaggio, R.W. Connell and James Messerschmidt, as well as Adrian Marino. The application of these approaches made it possible to identify the historical transformation of the representation of women, narrative voice, subjectivity, and forms of gendered power.

The research demonstrates that the representation of female characters in Georgian prose changes significantly in accordance with historical and cultural contexts. While in the texts of the first half of the twentieth century women are mostly represented within the framework of social and patriarchal norms, in the prose of the Soviet and post-Soviet transitional period particular importance is attached to issues of female self-identity, voice, and inner experience. In contemporary Georgian prose, women increasingly appear as subjects of their own experience and as active agents in the critical interpretation of social reality. At the same time, the study reveals that the author's gender does not always determine the degree of a female character's subjectivity; historical context, narrative strategy, and the ideological position of the text often play a decisive role.

Keywords: female character, subjectivity, gender narrative, feminist narratology, Georgian prose, women's voice, gender representation.